საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №03

13 ივლისი, 2016 წ.

ქ. ბათუმი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N2 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების, ამავე საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №5 ოქმის, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 ივლისის N48 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N2 გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები,კერძოდ, ფაკულტეტის დებულების **მე-12 მუხლის სათაური და შინაარსი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   ,,მუხლი 12. სტომატოლოგიური კლინიკა ,,ბსუ დენტი"

   1. სტომატოლოგიური კლინიკა ,,ბსუ დენტი" (შემდეგში ,,კლინიკა") წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს.

   2. კლინიკის საქმიანობის მიზანია ფაკულტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (პრაქტიკული/კურაციული მეცადინეობების), რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების, დიპლომისშემდგომი

განათლების (პროფესიული მზადების) ცალკეული კურსების/მოდულების კლინიკის ბაზით უზრუნველყოფა.

3. კლინიკა საქმიანობას ახორციელებს ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივ დეპარტამენტთან კოორდინირებულად.
4. კლინიკა საქმიანობას წარმართავს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.“

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი /დ. ბარათაშვილი/